



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №112.11

### 1. ფაქტები

ადვოკატმა ხ.ვ.მ 2011 წლის 19 ოქტომბერს დ.რ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილეობა მიიღო საგამომიებო ექსპერიმენტში. ადვოკატ ხ.ვ.ს დ.რ.-სთან ან/და მისი ოჯახის წევრებთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია და ბრალდების მხარის თხოვნით მიიღო მონაწილეობა საგამომიებო ექსპერიმენტში. ადვოკატი ხ.ვ. არ იცნობდა დ.რ.ის სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ადვოკატ ხ.ვ.ს არ შეუთანხმებია ბრალდებულთან დაცვის პოზიცია და ტაქტიკა. ადვოკატის მიერ დაცვის უფლების არასათანადო განხორციელების შედეგად შეიქმნა ოქმი, რომელიც წარმოადგენდა მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც კლიენტი აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. საგამომიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის შემდეგ ადვოკატი არ დაინტერესებულა კლიენტის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმეზე და ისე გაწყვიტა მასთან ურთიერთობა, რომ კლიენტისგან ნებართვა არ მიუღია. მას კლიენტისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, რომ დაცვის განხორციელებაზე უარს ამბობდა.

### 2. პროცესუალური ისტორია

2011 წლის 26 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა თ.რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ხ.ვ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ 2012 წლის 26 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ხ.ვ.ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ხ.ვ.ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით დაცვის უფლება უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული წესით; ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპი; ასევე ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის ვალდებულება.

### 3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ხ.ვ.ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, შესაბამისად განცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები სახეზეა. დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 თვის ვადით.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპი? (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-3 მუხლი).

დასაცავი პირი თავისი ნების გათვალისწინებით ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატ ხ.ვ.სა და დ.რ.ს შორის თავიდანვე არ წარმოშობილა ნდობა ვინაიდან ადვოკატი არც ბრალდებულ დ.რ.ს და არც მისი ოჯახის წევრებს არ მოუწვევიათ დ.რ.ის ინტერესების დასაცავად, ასევე დ.რ. არ საჭიროებდა სავალდებულო დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობა ისე მიიღო, რომ ოჯახთან ან ბრალდებულთან კომუნიკაცია არ ჰქონდა. ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის ინიციატივით. ადვოკატის მიერ დარღვეულია ნდობის პრინციპი.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპი, როდესაც იგი სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის ინიციატივით ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლით განმტკიცებული დამოუკიდებლობის პრინციპი.



ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მოწვევით, რითაც ამ უკანასკნელმა ზეგავლენა მოახდინა ადვოკატის დამოუკიდებლობაზე, ადვოკატი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელი არ იყო, რაც ამავე პრინციპის დარღვევაა. ადვოკატი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის - კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თავად ადვოკატის სურვილს არ წარმოადგენდა, დაეცვა დ.რ.ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული მიუთებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის მხრიდანაც არ იყო გამოხატული ნება, დაეცვა დ.რ.ის ინტერესები და ადვოკატი ბრალდების მხარის თხოვნით მოქმედებდა. ადვოკატის მიერ დარღვეულია დამოუკიდებლობის პრინციპი

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულება - კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების ნებართვით და მათთან შეთანხმებული წესით დაეწყო დ.რ.ის ინტერესების დაცვა და მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო მოქმედებაში? (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი).

ადვოკატის განმარტება, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას აცნობა დ.რ.ს, რომ მისი ადვოკატი იყო და მონაწილეობას მიიღებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაცვის განხორციელების თაობაზე კლიენტთან შეთანხმებად. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა მას შემდეგ, რაც უკვე ჩაერთო საქმეში ბრალდების მხარის თხოვნით, ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე გამოწერა ორდერი სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ უფლებამოსილების მიღებაზე ინფორმაციის მიწოდება კლიენტისათვის დაგვიანებული იყო. გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი თავისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ადვოკატი კლიენტის ნებით არ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეში. შესაბამისად ადვოკატის მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულება - კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების ნებართვით და მათთან შეთანხმებული წესით დაეწყო დ.რ.ის ინტერესების დაცვა და მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო მოქმედებაში.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება? (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას უნდა განახორციელონ დაცვის უფლება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, რაც კლიენტის ჩართულობას გულისხმობს მისი საქმის გადაწყვეტაში. ადვოკატმა დაცვის პოზიცია და ტაქტიკა უნდა შეათანხმოს კლიენტთან. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა იმ პირობებში მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, რომ არ შეუთანხმებია კლიენტთან დაცვის პოზიცია და ტაქტიკა - არ მიუღია კლიენტისგან ინფორმაცია საქმეზე. თავად ადვოკატის ახსნა-განმარტებით, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე გასაუბრებოდა კლიენტს და გაცნობოდა საქმეს. იგი მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობდა მოქმედებაში და დაცვის უფლების არასათანადო განხორციელების შედეგად შეიქმნა ოქმი, რომელიც წარმოადგენდა მტკიცებულებას, რომლის მიხევითაც კლიენტი აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. ადვოკატი, დაინტერესებული არ იყო დაეცვა კლიენტის ინტერესები, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის შემდეგ იგი არ დაინტერესებულა კლიენტის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმეზე და ისე გაწყვიტა მასთან უერთიერთობა და სამომავლოდ მისი ინტერესების დაცვაზე ისე განაცხადა უარი, რომ კლიენტისგან ნებართვა არ მიუღია. მას კლიენტისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, რომ დაცვის განხორციელებაზე უარს ამბობდა. ადვოკატმა დაარღვია კვალიფიციურობისა და

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
იურიდიული ეთიკის მიმართულება  
© მიხეილ რეხვიაშვილი



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION**  
UNIVERSITY

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

კეთილსინდისიერების ვალდებულება.

ადვოკატ ხ.ვ.-ს მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 თვის ვადით.